

CENN - ის სათავო ოფისი  
ბეთლემის ქუჩა N27  
0105 თბილისი  
საქართველო

+995 32 275 19 03 / 04  
info@cenn.org  
cenn.org  
environment.cenn.org  
f ThinkNaturally

# კრწანისის ტყეპარკის ფრინველები



WITH FUNDING FROM  
AUSTRIAN  
DEVELOPMENT  
COOPERATION



USAID  
FROM THE AMERICAN PEOPLE

მეგზური მომზადდა პროექტის **ტყის მდგრადი მართვა საქართველოში** ფარგლებში, **ავსტრიის თანამშრომლობა განვითარებისათვის (Austrian Development Cooperation)** ფინანსური მხარდაჭერით.

პროექტის პარტნიორია პროგრამა **ისწავლე, გაუზიარე, გააკეთე**, რომელიც **ამერიკის სატყეო სამსახურის (USFS)** მიერ **USAID**-ის ფინანსური მხარდაჭერით ხორციელდება.

მეგზურის შინაარსზე პასუხისმგებელია პროექტის განმახორციელებელი და, შესაძლებელია, არ ემთხვეოდეს **ADC**-სა და **USAID**-ის მოსაზრებებსა და შეხედულებებს.

კრწანისის ტყეპარკის ფრინველები © CENN



## სად არის კრწანისის ტყეპარკი

კრწანისის ტყეპარკი თბილისსა და რუსთავს შორის არსებული 200 ჰა ულამაზესი მწვანე ტერიტორიაა. მისი დაარსების მთავარი მიზანი დედაქალაქთან ახლოს რეკრეაციული სივრცის შექმნა იყო.

## რითი გამოირჩევა კრწანისის ტყეპარკი


ტყეპარკი ქმნის უნიკალურ შესაძლებლობას, განაშენიანებულ ტერიტორიაზე თავი იგრძნოთ ბუნებრივ გარემოში, შორს ქალაქის ხმაურისაგან, მტვრისა და ურბანული გარემოსაგან. ვაკე რელიეფი და ულამაზესი ხეივნები შესანიშნავია ველოსიპედით სეირნობისათვის. ასევე საუკეთესოა პიკნიკის, საგანმანათლებლო ტურების, ექსკურსიების მოსაწყობად და ფრინველებზე დასაკვირვებლად.

## რატომ უნდა ეწვიონ ფრინველების მოყვარულები კრწანისის ტყეპარკს

კრწანისის ტყეპარკი დედაქალაქთან ახლოს მდებარე ბიომრავალფეროვნებით ყველაზე მდიდარი ადგილია. წლის განმავლობაში აქ ასზე მეტი სახეობის ფრინველს შეიძლება შევხვდეთ. ამ თავისებურებას დიდწილად განაპირობებს უნიკალური ჭალის ტყის ეკოსისტემა.

## როგორ გამოვიყენოთ მეგზური კრწანისის ტყეპარკის ფრინველები

მეგზურში აღწერილია 88 სახეობის ფრინველი, რომლებიც კრწანისის ტყეპარკში წლის სხვადასხვა დროს გვხვდებიან. ფრინველთა საძიებელი ოჯახების მიხედვით მოცემულია მე-8 გვერდზე. ფრინველების ხმები ატვირთულია პორტალზე – [forestry.ge/birds](http://forestry.ge/birds)



## გთხოვთ, გაითვალისწინოთ:

მიუხედავად ზემოთქმულისა, ტყეპარკი ამჟამად სახელმწიფოს მფლობელობაშია და არ გააჩნია რაიმე დაცვითი სტატუსი. შესაბამისად, აქ სისტემატურად გვხვდებიან მონადირეები, რაც დამსვენებლებისათვის დისკომფორტის შემცველია და დიდ ზიანს აყენებს ტყეპარკის უნიკალურ ბიომრავალფეროვნებას. 2017 წლის დეკემბრიდან პარკის სისუფთავეზე ზრუნავს CENN, **#ჩვენგარემოსთვის / #KeepGeorgiaBeautiful** კამპანიის ფარგლებში, რომელიც მიმდინარეობს WMTR II პროგრამის ინიციატივით. WMTR II პროგრამას ახორციელებს CENN, USAID-ის ფინანსური მხარდაჭერით.

## კრწანისის ტყეპარკში ყოფნის სტატუსის განმარტებები:

- ▶ **მოზინადრე**  
ფრინველი ბუდობს და გვხვდება მთელი წლის განმავლობაში.
- ▶ **მოზუდარი**  
ფრინველი გვხვდება მხოლოდ ბუდობისა და გადაფრენის დროს, ზამთარს სხვაგან ატარებს.
- ▶ **გადამფრენი**  
ფრინველი გვხვდება მხოლოდ გადაფრენის დროს გაზაფხულსა და შემოდგომაზე.
- ▶ **მოზამთრე**  
ფრინველი გვხვდება მხოლოდ ზამთარში და გადაფრენის დროს.

**ბუნების კონსერვაციის საერთაშორისო კავშირის (IUCN) მიერ შემუშავებული სახეობის კონსერვაციული სტატუსის კატეგორიები:**

**Extinct EX** გადაშენებული

**Extinct in the wild EW** ბუნებაში გადაშენებული

**Critically endangered CR** კრიტიკულ საფრთხეში მყოფი

**Endangered EN** საფრთხეში მყოფი

**Vulnerable VU** მონყვლადი

**Near threatened NT** საფრთხესთან ახლოს მყოფი

**Least concern LC** ნაკლები შეშფოთების გამომწვევი

**Data deficient DD** არასრული მონაცემები

**Not evaluated NE** არ არის შეფასებული



## ფრინველთა საძიებელი ოჯახების მიხედვით

### ოჯახი

10	იხვისებრნი
20	კოკონასებრნი (მურტალასებრნი)
22	ჩვამასებრნი
24	ყანიჩისებრნი
40	ქორისებრნი
54	შავარდნისებრნი
60	ლაინასებრნი
64	სირკაჭკაჭისებრნი
66	სადგისნისკარტასებრნი
68	მეჭვავისებრნი
72	თოლიასებრნი
80	მტრედისებრნი
84	გუგულისებრნი
86	ბუსებრნი
92	ოფოფისებრნი
94	ალკუნისებრნი
96	კვირიონისებრნი
98	კოდალასებრნი
108	მერცხლისებრნი
114	ბოლოქანქარასებრნი
118	მემატლისებრნი
130	შაშვისებრნი
138	ასპუჭაკასებრნი
142	მეჩალისებრნი
148	ჭინჭრაქასებრნი
150	წივნივასებრნი
154	თოხიტარასებრნი
156	ცოციასებრნი
158	ლაჯოსებრნი
162	ყორნისებრნი
170	შოშიასებრნი
172	მოლაღურისებრნი
174	ბელურასებრნი
180	მთიულასებრნი

#CENN20  
ჩვენ უკვე 20 წლის ვართ !

## ბარეული იხვი

*Anas platyrhynchos*

### აღწერა:

სხეულის სიგრძე: 50-60 სმ, ფრთების შლილი: 81-95 სმ. შეფერილობაში სქესობრივი დიმორფიზმი კარგადაა გამოხატული. მამლისთვის დამახასიათებელია მუქი, მომწვანო ბზინვარე თავი; მონაცრისფრო გვერდები და მუცელი; წაბლისფერი მკერდი; მუქი ლურჯი ფრთის სარკე; ყვითელი ნისკარტი და ნარინჯისფერი ფეხები. დედლის საერთო შეფერილობა მოყავისფრო-ჩალისფერია; ფრთის სარკე მამლის მსგავსია; ნისკარტი ნარინჯისფერია, შავი ლაქებით. განგურის პერიოდში მამალი ემსგავსება დედალს. მათი გარჩევა შესაძლებელია ნისკარტით, რომელიც დედალს შავლაქებიანი მონითალო-მონარინჯისფრო ფერის აქვს, მამალს – მომწვანო-მოყვითალო.

### ჰაბიტატი:

ჭაობები, ტბები, ტენიანი მიწდვრები, დიდი მდორე მდინარეები და ზღვის სანაპირო ზოლი (მდინარის დელტები).

### ბუდობა:

ბუდეს იკეთებს მიწაზე, მაღალი, ბალახოვანი მცენარეების ქვეშ, წყალსატევის მახლობლად. აპრილში ან მაისში დებს 7-12 კვერცხს. საინკუბაციო პერიოდი 26 დღემდე გრძელდება.

### კვება:

მცენარის მწვანე ნაწილები და თესვები; მწერები და მათი ლარვები.

### კრწანისის ტყეპარკში ყოფნის სტატუსი:

გადამფრენი / მოზამთრე.

### IUCN-ის სტატუსი:

LC



## რუხი იხვი

*Mareca strepera*

### აღწერა:

სხეულის სიგრძე: 46-56სმ, ფრთების შლილი: 78-90სმ. მამლისთვის დამახასიათებელია სხეულის რუხი-მონაცრისფრო შეფერილობა და შავი ნისკარტი, შავი კუდის მფარავი ბუმბულები; წაბლისფერი, შავი და თეთრი ლაქები ფრთის მფარავებსა და მეორე რიგის მომქნევეებზე. დედალი მოყავისფრო-ნაცრისფერია, სტაფილოსფერი ნისკარტით; ფრთა მამლის მსგავსია, თუმცა ფრთის მფარავებზე არ აქვს წაბლისფერი ლაქები.

### ჰაბიტატი:

ჭაობები, ტბები, დიდი მდორე მდინარეები და მღვის სანაპირო ზოლი.

### ბუდობა:

ბუდეს იკეთებს ბალახეულობითა და ბუმბულით მტკნარი ტბის ნაპირებზე ან ჭაობში. მაისში დებს 7-12 კვერცხს. საინკუბაციო პერიოდი 24-27 დღე გრძელდება.

### კვება:

წყლის პატარა ზომის უხერხემლოები, მცენარის მწვანე ნაწილები და თესვები.

### კრწანისის ტყეპარკში ყოფნის სტატუსი:

გადამფრენი.

### IUCN-ის სტატუსი:

LC





## ჭიკვარა (სტვენია იხვი)

*Anas crecca*

### აღწერა:

სხეულის სიგრძე: 34-38სმ, ფრთების შლილი: 53-59სმ. მამალი დიდია დედალზე. შეფერილობით განსხვავდებიან ერთმანეთისაგან. მამლისთვის დამახასიათებელია წაბლისფერი თავი გვერდებზე დიდი მწვანე ლაქით, რომელსაც მკრთალი მოყვითალო არშია აქვს შემოვლებული; მკერდი მოყვითალო-თეთრია შავი წერტილებით; კუდის ქვედა მფარავი ბუმბულები ყვითელია, შავი არშიით. ფრთის სარკე მოშავო-მომწვანოა თეთრი კიდეებით; სხეულის დანარჩენი ნაწილი მონაცრისფროა. დედალის სხეულის საერთო შეფერილობა მოყვითალო-მოყავისფროა; ფრთის სარკის შეფერილობა მამლის მსგავსია.

### ჰაბიტატი:

ჭაობები, ტბები, წყალმარჩხი ადგილები, მდორე მდინარეები.

### ბუდობა:

ბუდეს იკეთებს მტკნარი ტბის ნაპირებზე ან ჭაობში. მასში დებს 8-10 კვერცხს. საინკუბაციო პერიოდი 21-25 დღე გრძელდება. ბარტყებს გამოჩევიდან 30-35 დღის შემდეგ შეუძლიათ ფრენა.

### კვება:

მცენარის მწვანე ნაწილები და თესვები.

### კრწანისის ტყეპარკში ყოფნის სტატუსი:

გადამფრენი/მოზამთრე.

### IUCN-ის სტატუსი:

LC



## იხვინა (ჭახჭახა იხვი)

*Spatula querquedula*

### აღწერა:

სხეულის სიგრძე: 37-41სმ, ფრთების შლილი: 59-67სმ. მამლისთვის დამახასიათებელია ყავისფერი თავი დიდი თეთრი წარბით, რომელიც გასდევს კისრის უკანა მხარემდე; მუქი ყავისფერი მკერდი და თეთრი, შავზოლებიანი გვერდები; ფრთის სარკე მოშავო-მომწვანო თეთრი კიდეებით. დედლის სხეულის საერთო შეფერილობა მოყავისფროა; თხემი და თვალის ხაზი შავია; ფრთის სარკე მამლის მსგავსია.

### ჰაბიტატი:

ჭაობები, ტბები, წყალმარხი ადგილები, მღორე მდინარეები.

### ბუდობა:

ბუდეს იკეთებს მტკნარი ტბის ნაპირებზე ან ჭაობში. მაისში დებს 8-10 კვერცხს. საინკუბაციო პერიოდი 21-23 დღე გრძელდება. ბარტყებს გამოჩეკიდან 30-35 დღის შემდეგ შეუძლიათ ფრენა.

### კვება:

მცენარის მწვანე ნაწილები და თესვები.

### კრწანისის ტყეპარკში ყოფნის სტატუსი:

გადამფრენი.

### IUCN-ის სტატუსი:

LC



## წითელთავა ყვინთია

*Aythya ferina*

### აღწერა:

სხეულის სიგრძე: 42-49სმ, ფრთების შლილი: 67-75 სმ შეფერილობაში სქესობრივი დიმორფიზმი კარგადაა გამოხატული. მამლისთვის დამახასიათებელია ნაცრისფერი ტანი, წაბლისფერი თავი და კისერი, წითელი თვალი, შავი მკერდი, კუდი და კუდის მფარავები. დედალი მონაცრისფრო შეფერილობისაა, ყავისფერი მკერდითა და მოყვითალო-მოყავისფრო თავით. ორივე სქესის ფრინველს შავი ნისკარტის შუა ნაწილი მონაცრისფრო აქვს.

### ჰაბიტატი:

ტბები, მდორე მდინარეები და ზღვის სანაპირო ზოლი.

### ბუდობა:

ბუდეს იკეთებს მტკნარი ტბის ნაპირებზე ან ჭაობში, სადაც უხვადაა მცენარეული საფარი. მაისში დებს 5-12 კვერცხს. საინკუბაციო პერიოდი 22-27 დღე გრძელდება. ბარტყებს გამოჩევიდან 40-45 დღის შემდეგ შეუძლიათ ფრენა.

### კვება:

წყლისა და ხმელეთის უხერხემლოები და მათი ლარვები.

### კრწანისის ტყეპარკში ყოფნის სტატუსი:

გადამფრენი.

### IUCN-ის სტატუსი:

VU



## მცირე კოკონა (მცირე მურტალა)

*Tachybaptus ruficollis*

### აღწერა:

სხეულის სიგრძე: 23-29სმ. დამახასიათებელია სხეულის მურა შეფერილობა, წაბლისფერი ლოყები და მოყვითალო-შავი ნისკარტის ძირი. ზამთარში ღია მოყავისფრო შეფერილობისაა, ყელი მოთეთროა.

### ჰაბიტატი:

წყალსატევები უხვად განვითარებული წყლის მცენარეულობით.

### ბუდობა:

ბუდეს იკეთებს წყლის ზედაპირზე წყლის მცენარეების ხმელი ნაწილებისგან. მაისში დებს 4-5 კვერცხს.

### კვება:

წყლის უხერხემლოები და მათი ლარვები.

### კრწანისის ტყეპარკში ყოფნის სტატუსი:

მობინადრე.

### IUCN-ის სტატუსი:

LC



## დიდი ჩვამუ

*Phalacrocorax carbo*

### აღწერა:

სხეულის სიგრძე: 77-94 სმ, ფრთების შლილი: 121-149 სმ. დამახასიათებელია სხეულის შავი შეფერილობა მომწვანო-მოლურჯო ელფერით, მწვანე თვალი, ყვითელი ნისკარტის ძირი და თეთრი ყელი. ახალგაზრდა ფრინველი მოყავისფრო შეფერილობისაა, მუცელი თეთრია.

### ჰაბიტატი:

ზღვის სანაპირო ზოლი, ტბები და დიდი მდინარეები.

### ბუდობა:

ბუდობს კოლონიებად. ბუდეს იკეთებს ხეზე, დებს 3-5 კვერცხს. საინკუბაციო პერიოდი 24 დღემდე გრძელდება.

### კვება:

თევზები, რომლებსაც წყალში იჭერს. თევზებზე ხშირად გუნდურად ნადირობს, ზოგჯერ – ვარხვებთან ერთადაც.

### კრწანისის ტყეპარკში ყოფნის სტატუსი:

მობინადრე.

### IUCN-ის სტატუსი:

LC



## დიდი ყარაულა (წყლის ბულა)

*Botaurus stellaris*

### აღწერა:

სხეულის სიგრძე: 69-81 სმ, ფრთების შლილი: 100-130 სმ. დამახასიათებელია სხეულის მოყვითალო-მოყავისფრო შეფერილობა ხშირი წინკლებითა და ზოლებით; გრძელი კისერი და ფეხები – გრძელი თითებით. ყველა სხვა ყანჩის მსგავსად, ფრენისას კისერი S-ისებურად მოხრილი აქვს, გრძელი ფეხები კი – გაჭიმული.

### ჰაბიტატი:

დაჭაობებული მდელოები, მდინარეებისა და ტბების ლელიანი სანაპიროები.

### ბუდობა:

ბუდეს იკეთებს კორდზე, მცენარეებს შორის. აპრილის შუა რიცხვებიდან მაისის დასაწყისამდე დებს 3-5 კვერცხს.

### კვება:

თევზები, ამფიბიები, ქვეწარმავლები და მღრღნელები.

### კრწანისის ტყეპარკში ყოფნის სტატუსი:

მობინადრე.

### IUCN-ის სტატუსი:

LC



## მცირე ყარაულა (მცირე წყლის ბულა)

*Ixobrychus minutus*

### აღწერა:

სხეულის სიგრძე: 33-38 სმ, ფრთების შლილი: 49-58 სმ. სხეულის ზედა ნაწილი შავი ფერისაა (გარდა ფრთის მფარავებისა, რომლებიც მოყვითალოა), სხეულის ქვედა ნაწილი მოყვითალოა (დედალს მკერდსა და მუცელზე გასდევს მოშავო ზოლები); ნისკარტი მოყვითალოა, ფეხები მომწვანო-ნაცრისფერი; ახალგაზრდა ფრინველი ჩალისფერია, მურა კოპლებით.

### ჰაბიტატი:

წყალსატევების ლერწმითა და ბუჩქნარით დაფარული ადგილები.

### ბუდობა:

ბუდეს იკეთებს ხშირ ლელქაშში, იშვიათად – ბუჩქნარსა და ხეებზე. მაისიდან ივნისის დასაწყისამდე დებს 5-9 კვერცხს. საინკუბაციო პერიოდი 19 დღემდე გრძელდება.

### კრწანისის ტყეპარკში ყოფნის სტატუსი:

მობუდარი.

### IUCN-ის სტატუსი:

LC



## ღამის ყანჩა

*Nycticorax nycticorax*

### აღწერა:

სხეულის სიგრძე: 58-65 სმ, ფრთების შლილი: 90-100 სმ. შეფერილობაში სქესთა შორის განსხვავება არ არის გამოხატული. თხემი, კეფა და ზურგი შავია; კეფაზე აქვს სამი თეთრი წაგრძელებული ბუმბული; ნისკარტი და ფეხები მოყვითალოა, ფრთები – ნაცრისფერი; გვერდები, მკერდი და მუცელი მოთეთროა, ფეხები – მოყვითალო, ნისკარტი – შავია, თვალი წითელია, ახალგაზრდა ყანჩა მთლიანად ჩალისფერია თეთრი წინწკლებით.

### ჰაბიტატი:

ტყის ახლოს მდებარე ტბებისა და მდინარეების ჭაობიანი სანაპიროები.

### ბუდობა:

ბუდობს კოლონიებად ხშირად სხვა ყანჩებთან ერთად. ბუდეს იკეთებს ხეზე. აპრილის მეორე ნახევარში დებს 3-5 კვერცხს.

### კვება:

მწერები, თავკომბალები, წვრილი თევზები და პატარა ზომის მღრღნელები.

### კრწანისის ტყეპარკში ყოფნის სტატუსი:

მობინადრე.

### IUCN-ის სტატუსი:

LC





## ეგვიპტური ყანჩა (ბყუმსი)

*Bubulcus ibis*

### აღწერა:

სხეულის სიგრძე: 45-52 სმ, ფრთების შლილი: 82-95 სმ. დამახასიათებელია სხეულის თეთრი შეფერილობა, მომუროყვითელი ბუმბული თავზე, მკერდსა და ზურგზე; ფეხები მომწვანო-მოყვითალოა, ნისკარტი – ყვითელი (გამრავლების პერიოდში ნისკარტის ძირი წითელია). ახალგაზრდა ფრინველი მთლიანად თეთრია, შავი ნისკარტითა და შავი ფეხებით.

### ჰაბიტატი:

ტენიანი მდელოები ტბებისა და მდინარეების მახლობლად.

### ბუდობა:

ბუდობს კოლონიებად. ბუდეს იკეთებს ხეზე ან ლელქაშში. მაისში დებს 7-9 კვერცხს. საინკუბაციო პერიოდი 22 დღემდე გრძელდება.

### კვება:

სხვადასხვა მწერი და თავკომბალა. საძოვრებზე დასდევენ შინაურ ცხოველებს (ზოგჯერ ზურგზეც ასხდებიან) და იკვებებიან ბუბებითა და ტკიპებით.

### კრწანისის ტყეპარკში ყოფნის სტატუსი:

მობუდარი.

### IUCN-ის სტატუსი:

LC



## მცირე თეთრი ყანჩა (პატარა ოყარი)

*Egretta garzetta*

### აღწერა:

სხეულის სიგრძე: 55-65 სმ, ფრთების შლილი: 88-106 სმ. დამახასიათებელია გრძელი კისერი, შავი ნისკარტი და გრძელი, შავი ფეხები ყვითელი თითებით. გამრავლების პერიოდში მამალს კეფაზე უვითარდება ორი გრძელი ბუმბული. შეფერილობაში სქესთა შორის განსხვავება არ არის გამოხატული. სხეულის შეფერილობა მთლიანად თეთრია.

### ჰაბიტატი:

ჭაობები, ტენიანი მინდვრები, ტბებისა და მდინარეების სანაპიროები.

### ბუდობა:

ბუდობს კოლონიებად. ბუდეს იკეთებს ხეზე ან ლელქაშში. მაისში დებს 3-6 კვერცხს. საინკუბაციო პერიოდი 23-25 დღე გრძელდება.

### კვება:


თევზები, ამფიბიები, მწერები და მათი ლარვები.

### კრწანისის ტყეპარკში ყოფნის სტატუსი:

მოზინადრე.

### IUCN-ის სტატუსი:

LC



## დიდი თეთრი ყანჩა (დიდი ოყარი)

*Ardea alba*

### აღწერა:

სხეულის სიგრძე: 85-100სმ, ფრთების შლილი: 145-170სმ. დამახასიათებელია გრძელი კისერი, ყვითელი ნისკარტი და გრძელი, მოშავო ფეხები. გამრავლების პერიოდში ყვითელი ნისკარტი უშავდება, ხოლო წვივის ბუმბულით დაუფარავი ნაწილი უვარდისფერდება. სხეულის შეფერილობა მთლიანად თეთრია. შეფერილობაში სქესთა შორის განსხვავება არ არის გამოხატული.

### ჰაბიტატი:

ჭაობები, ტბებისა და მდინარეების სანაპიროები და მინდვრები.

### ბუდობა:

ბუდობს კოლონიებად. ბუდეს იკეთებს ხეზე ან ლელქაშში. მაისში დებს 5-9 კვერცხს. საინკუბაციო პერიოდი 22-25 დღე გრძელდება.

### კვება:

თევზები, ამფიბიები და მღრღნელები.

### კრწანისის ტყეპარკში ყოფნის სტატუსი:

გადამფრენი / მოზამთრე.

### IUCN-ის სტატუსი:

LC



## როზი ყანა

*Ardea cinerea*

### აღწერა:

სხეულის სიგრძე: 84-102 სმ, ფრთების შლილი: 155-175 სმ. შეფერილობაში სქესთა შორის განსხვავება არ არის გამოხატული. თავი, კისერი, ყელი და მუცელი თეთრია; სხეულის დანარჩენი ნაწილი ნაცრისფერია; თავზე აქვს კარგად გამოკვეთილი შავი წარბი, რომელზეც უვითარდება შავი წაგრძელებული ბუმბული. ნისკარტი და ფეხები ყვითელია.

### ჰაბიტატი:

ჭაობები, მდინარეებისა და ტბების სანაპიროები კარგად განვითარებული ლელქაშით, ბუჩქნარებითა და ხემცვნარებით.

### ბუდობა:

ბუდოს კოლონიებად. ბუდეს იკეთებს ლელიანში, იშვიათად – ხეზე. აპრილის პირველ ნახევარში დებს 3-7 კვერცხს. საინკუბაციო პერიოდი 27 დღემდე გრძელდება.

### კვება:

თევზები, ბაყაყები, ხვლიკები, გველები და თაგვები.

### კრწანისის ტყეპარკში ყოფნის სტატუსი:

მობინადრე.

### IUCN-ის სტატუსი:

LC



## წითური ყანჩა (ქარცი ყანჩა)

*Ardea purpurea*

### აღწერა:

სხეულის სიგრძე: 70-90სმ, ფრთების შლილი: 120-138სმ. შეფერილობაში სქესთა შორის განსხვავება არ არის გამოხატული. თავისა და კისრის გვერდები მონივრულია გრძივი შავი ზოლებით, ყელი თეთრია, სხეულის ზედა მხარე – მონაცრისფრო, ფრთის წინა კიდე – ჩალისფერი; გვერდები, მკერდი და მუცელი მონივრული-ჩალისფერია, შუბლი და თხემი – შავი, კეფაზე აქვს ორი შავი წაგრძელებული ბუმბული. ნისკარტი და ფეხები მოყვითალოა. გამრავლების პერიოდში მხრებზე უვითარდება წაგრძელებული, წითური ფერის ბუმბულები.

### ჰაბიტატი:

ტბებისა და მდინარეების ჭაობიანი სანაპიროები.

### ბუდობა:

ბუდობს კოლონიებად. ბუდეს იკეთებს ხეზე ან ლელქაშში. მათის პირველ ნახევარში დებს 2-5 კვერცხს. საინკუბაციო პერიოდი 28 დღემდე გრძელდება.

### კვება:

თევზები და ამფიბიები.

### კრწანისის ტყეპარკში ყოფნის სტატუსი:

გადამფრენი.

### IUCN-ის სტატუსი:

LC



## მსირე მყივანა არწივი

*Aquila Pomarina*

### აღწერა:

სხეულის სიგრძე: 55-65სმ, ფრთების შლილი: 143-168სმ. დამახასიათებელია სხეულის მუქი მურა შეფერილობა. ახალგაზრდა ფრინველი შედარებით მუქია. საშუალო და დიდი მფარავების ბოლოში აქვს თეთრი ლაქები.

### ჰაბიტატი:

ბარის ტყეები.

### ბუდობა:

ბუდეს ხმელი ტოტებისგან იკეთებს ხეზე. აპრილის მეორე ნახევარში დებს 2 კვერცხს. საინკუბაციო პერიოდი 38-40 დღე გრძელდება. მართვეს გამოჩევიდან 50-58 დღის შემდეგ შეუძლია ფრენა, გამრავლებას კი 3 წლიდან იწყებს.

### კვება:

პატარა ზომის ცხოველები.

### კრწანისის ტყეპარკში ყოფნის სტატუსი:

ვიზიტორი (მაფხულში) / გადამფრენი.

### IUCN-ის სტატუსი:

LC



## ძმრპ

*Milvus migrans*

### აღწერა:

სხეულის სიგრძე: 48-58 სმ, ფრთების შლილი: 130-155 სმ. დამახასიათებელია ამოკვეთილი (ნამგლისებური) კუდი. შეფერილობაში სქესთა შორის განსხვავება არ არის გამოხატული. სხეულის ზედა ნაწილი მუქი ყავისფერია, ქვედა – მონითალო-მურა, მკერდზე ვიწრო, შავი სიგრძივი ზოლებით.

### ჰაბიტატი:

ფართოფოთლოვანი ტყეები, მინდვრებისა და ტბების მახლობლად.

### ბუდობა:

ბუდეს იკეთებს ხეზე. აპრილის მეორე ნახევარში დებს 2-3 კვერცხს. საინკუბაციო პერიოდი 26-38 დღე გრძელდება. მართვის გამოჩეკიდან 38-42 დღის შემდეგ შეუძლია ფრენა.

### კვება:

პატარა ზომის ცხოველები და ლეში.

### კრწანისის ტყეპარკში ყოფნის სტატუსი:

გადამფრენი.

### IUCN-ის სტატუსი:

LC



## ჭაობის ძელქორი (ჭაობის ბოლობეჭედა)

*Circus aeruginosus*

### აღწერა:

სხეულის სიგრძე: 43-55სმ, ფრთების შლილი: 115-140სმ. მამლის სხეულის ზედა ნაწილის შეფერილობა ყავისფერია, კუდი და ფრთის შუა ნაწილი – მონაცრისფრო-ვერცხლისფერი, ფრთის წვერები (თითები) შავია. დედალი მურა-ყავისფერია, მოთეთრო-მოყვითალო ყელითა და თხემით. ახალგაზრდა ძალიან ჰგავს დედალს, თუმცა სხეულის საერთო შეფერილობით უფრო მუქია.

### ჰაბიტატი:

ჭაობები, ტენიანი მდელოები, მდინარეებისა და ტბების ხშირი მცენარეულობით დაფარული სანაპიროები.

### ბუდობა:

ბუდეს იკეთებს ჭაობში ან ჭაობის მცენარეულობით დაფარულ წყლისპირა ბუჩქნარში. აპრილის მეორე ნახევარში დებს 3-8 კვერცხს. საინკუბაციო პერიოდი 30-38 დღე გრძელდება. მართვეს გამოჩევიდან 35-40 დღის შემდეგ შეუძლია ფრენა.

### კვება:

მღრღნელები, ფრინველები და ფრინველის კვერცხები.

### კრწანისის ტყეპარკში ყოფნის სტატუსი:

მობინადრე.

### IUCN-ის სტატუსი:

LC





## მდელოს ძელქორი (მდელოს ბოლობეჭედა)

*Circus pygargus*

### აღწერა:

სხეულის სიგრძე: 39-50 სმ, ფრთების შლილი: 96-116 სმ. მამალი რუხი შეფერილობისაა; კუდის მფარავი ბუმბულები მოთეთროა, პირველი რიგის მომქნევეები – შავი, მეორე რიგის მომქნევეებზე გასდევს კარგად გამოკვეთილი შავი ზოლი. ფრთის ქვედა მფარავებზე აქვს ყანგისფერი ხალები, დედალს მოყავისფრო შეფერილობის სხეული აქვს; მეორე რიგის მომქნევეებზე გასდევს მკრთალი შავი ზოლი.

### ჰაბიტატი:

მდელოები ჭაობის მახლობლად.

### ბუდობა:

ბუდეს იკეთებს მიწაზე. მაისში დებს 4-5 კვერცხს. საინკუბაციო პერიოდი 30-40 დღე გრძელდება. მართვეს გამოჩეკიდან 32-42 დღის შემდეგ შეუძლია ფრენა.

### კვება:

პატარა ზომის ცხოველები.

### კრწანისის ტყეპარკში ყოფნის სტატუსი:

გადამფრენი.

### IUCN-ის სტატუსი:

LC



## მინდვრის ძელქორი (მინდვრის ბოლობეჭედა)

*Circus cyaneus*

### აღწერა:

სხეულის სიგრძე: 40-50 სმ, ფრთების შლილი: 97-118 სმ. დედალის სხეულის ზედა ნაწილი რუხია, ქვედა – მოყანგისფრო-რუხი შეფერილობისა. მამლის სხეულის ზედა მხარე ღია ნაცრისფერია, ქვედა – მოთეთრო შეფერილობისა. პირველადი მომქნევები შავია. ახალგაზრდა მსგავსია დედლის.

### ჰაბიტატი:

ბარის სტეპები და მინდვრები.

### ბუდობა:

ბუდეს იკეთებს მიწაზე. მაისში დებს 4-5 კვერცხს. საინკუბაციო პერიოდი 30 დღემდე გრძელდება. მართვეს გამოჩეკიდან 35-40 დღის შემდეგ შეუძლია ფრენა.

### კვება:

მცირე ზომის ძუძუმწოვრები და ფრინველები.

### კრწანისის ტყეპარკში ყოფნის სტატუსი:

გადამფრენი.

### IUCN-ის სტატუსი:

LC



## ველის კაკარა (ბრძელფეხა კაკარა)

*Buteo Rufinus*

### აღწერა:

სხეულის სიგრძე: 50-58სმ, ფრთების შლილი 130-155სმ. გვხვდება ორი ფორმა: ღია – მოთეთრო თავით, უზოლო კუდიტა და ჟანგისფერი მუცლით, და მუქი – მთლიანად მოშავო, მოთეთრო კუდზე შავი არშიით. ორივე ფორმას ფრთის ქვედა მხარეს მომქნეველი მოთეთრო აქვს, შავი წვერებით.

### ჰაბიტატი:

მინდვრები, კლდოვანი გორაკებისა და ხეობების მახლობლად.

### ბუდობა:

ბუდეს იკეთებს კლდეზე, იშვიათად – ხეზე. აპრილში დებს 3-5 კვერცხს. საინკუბაციო პერიოდი 30-40 დღე გრძელდება.

### კვება:

პატარა ზომის ცხოველები.

### კრწანისის ტყეპარკში ყოფნის სტატუსი:

გადამფრენი.

### IUCN-ის სტატუსი:

LC



## ჩვეულებრივი კაკაჩა

*Buteo buteo vulpinus*

### აღწერა:

სხეულის სიგრძე: 40-48სმ, ფრთების შლილი: 100-125 სმ. დამახასიათებელია სხეულის ზედა ნაწილის მურა, ქვედა ნაწილის – მონივრულ-ყვანგისფერი შეფერილობა. ფრთის კუთხეში აქვს მუქი ლაქა; გვხვდება მუქი ფორმებიც, რომლებსაც მთელი სხეული მურა აქვთ.

### ჰაბიტატი:

ტყეები და მინდვრები.

### ბუდობა:

ბუდეს იკეთებს ხეზე ან კლდეზე. აპრილში დებს 2-3 კვერცხს. საინკუბაციო პერიოდი 30-38 დღე გრძელდება.

### კვება:

მღრღნელები და სხვა პატარა ზომის ცხოველები.

### კონანისის ტყეპარკში ყოფნის სტატუსი:

მობინადრე.

### IUCN-ის სტატუსი:

LC



## მიმინო

*Accipiter nisus*

### აღწერა:

სხეულის სიგრძე: ♂ 29-34, ♀ 35-41სმ, ფრთების შლილი: ♂ 58-65, ♀ 67-80სმ. დამახასიათებელია მოკლე, განიერი ფრთები; გრძელი, კუთხოვანი კუდი და ყვითელი თვალელები. მამალი დედალთან შედარებით შესამჩნევად პატარაა. სხეულის ზედა ნაწილი მოლურჯოა, ქვედა – თეთრი, სტაფილოსფერი განივი ზოლებით. დედლის სხეულის ზედა ნაწილი მორუხოა, ქვედა – თეთრი, რუხი განივი ზოლებით.

### ჰაბიტატი:

ბინადრობს სხვადასხვა ტიპის ტყეებსა და ტყისპირებში.

### ბუდობა:

ბუდეს იკეთებს ხეზე. აპრილის მეორე ნახევარში დებს 4-5 კვერცხს. საინკუბაციო პერიოდი 32-40 დღე გრძელდება. მართვეს გამოჩევიდან 24-30 დღის შემდეგ შეუძლია ფრენა.

### კვება:

პატარა ზომის ფრინველები.

### კრწანისის ტყეპარკში ყოფნის სტატუსი:

მობინადრე.

### IUCN-ის სტატუსი:

LC



## ჩვეულებრივი ჰირაკიტა

*Falco tinnunculus*

### აღწერა:

სხეულის სიგრძე: 31-37 სმ, ფრთების შლილი: 68-78 სმ. დამახასიათებელია შავი ულვაში, ყანგისფერი დანინკლული ბურჯი და ფრთების მფარავები, შავი პირველადი მომქნეები, კუდის ბოლოს შავი არშია და მონაცრისფრო-მოყვითალო სხეულის ქვედა მხარე შავი წინკლებით. მამალს თავი და კუდი მოცისფრო აქვს.

### ჰაბიტატი:

ნახევარუდაბნოები, მინდვრები, მდელოები, სოფლები და ქალაქები.

### ბუდობა:

ბუდეს იკეთებს კლდის / შენობის ნაპრალებში ან ხვრელში. აპრილის პირველ ნახევარში დებს 3-7 კვერცხს. საინკუბაციო პერიოდი 27-29 დღე გრძელდება.

### კვება:

მწერები და პატარა ზომის ძუძუმწოვრები და ფრინველები.

### კრწანისის ტყეპარკში ყოფნის სტატუსი:

მოზინადრე.

### IUCN-ის სტატუსი:

LC



## მარჯანი

*Falco subbuteo*

### აღწერა:

სხეულის სიგრძე: 29-35 სმ, ფრთების შლილი: 70-84 სმ. დამახასიათებელია შავი ულვაშები, თეთრი ყელი, გრძელი, ვიწრო ფრთები და ნაწვეტებული კუდი. შეფერილობაში სქესთა შორის განსხვავება არ არის გამოხატული. სხეულის ზედა ნაწილი მოლურჯო-რუხი შეფერილობისაა. თეთრი ფერის მკერდსა და მუცელზე მოშავო გასწვრივი ზოლები გასდევს. წვივები და კუდის ძირის მფარავი ბუმბულები ჟანგისფერია. ახალგაზრდა მარჯანი ღია შეფერილობისაა.

### ჰაბიტატი:

მეჩხერი ტყეები.

### ბუდობა:

ბუდეს იკეთებს ხეზე. ხშირად ყვავის ძველ ბუდესაც იყენებს. მაისში დებს 2-3 კვერცხს. საინკუბაციო პერიოდი 28-30 დღე გრძელდება. მართვეს გამოჩევიდან 28-34 დღის შემდეგ შეუძლია ფრენა.

### კვება:

მწერები და პატარა ზომის ფრინველები.

### კრწანისის ტყეპარკში ყოფნის სტატუსი:

მოხუდარი.

### IUCN-ის სტატუსი:

LC



## წყლის ქათამი

*Gallinula chloropus*

### აღწერა:

სხეულის სიგრძე: 27-31 სმ, დამახასიათებელია მოშავო-მურა შეფერილობის ზურგი და ფრთები, თეთრი კუდქვეშა ბუმბულები, თეთრი ზოლი სხეულის გვერდებზე; მკრთალი, შავი თავი და მკერდი; მწვანე ფეხები, წითელი შუბლი და ნისკარტი. ახალგაზრდა ფრინველი ღია მურა ფერისაა, შუბლი და ნისკარტიც მურა აქვს.

### ჰაბიტატი:

ტბების, მდინარეებისა და წყალსატევების ლელქაშიანი სანაპიროები.

### ბუდობა:

ბუდეს იკეთებს ლერწმნარში. წელიწადში მრავლდება ორჯერ: პირველად – აპრილში, მეორედ – ივნისში. დებს 6-12 კვერცხს.

### კვება:

წყლის მცენარეების ნორჩი ყლორტები, ფესვები და თესვები.

### კრწანისის ტყეპარკში ყოფნის სტატუსი:

გადამფრენი / მოზამთრე.

### IUCN-ის სტატუსი:

LC





## გელოტა

*Fulica atra*

### აღწერა:

სხეულის სიგრძე: 36-42სმ, ფრთების შლილი: 70-80სმ. დამახასიათებელია სხეულის მოშავო-მურა შეფერილობა; ნისკარტი და შუბლი თეთრი აქვს, ფეხები – მომწვანო-მორუხო.

### ჰაბიტატი:

ტბების, მდინარეებისა და წყალსატევების ლელქაშიანი სანაპიროები.

### ბუდობა:

ბუდეს იკეთებს დაჭაობებულ ადგილებში ლერწმისგან ან ბალახეულის ღეროებისგან. აპრილში ან მაისში დებს 7-10 კვერცხს.

### კვება:


წყლის მცენარეების ნორჩი ყლორტები, ფესვები და თესვები.

### კრწანისის ტყეპარკში ყოფნის სტატუსი:

გადამფრენი / მოზამთრე.

### IUCN-ის სტატუსი:

LC



## სიროპაჭკაჭი (ზღვის კაჭკაჭი)

*Haematopus ostralegus*

### აღწერა:

სხეულის სიგრძე: 39-44 სმ, ფრთების შლილი: 72-83 სმ. დამახასიათებელია სხეულის შავ-თეთრი შეფერილობა; გრძელი, წითელი ნისკარტი და ფეხები; თავი, კისერი, ფრთის ზედა მფარავები, მომქნევების წვერები და კუდის წვერი შავია; ფრთის მომქნევებზე გასდევს დიდი, თეთრი ლაქა; სხეულის დანარჩენი ნაწილი თეთრია.

### ჰაბიტატი:

ზღვების, წყალსატევებისა და მდინარეების ნაპირები.

### ბუდობა:

ბუდეს იკეთებს მიწაზე, წყლის სიახლოვეს. მაისში დებს 2-4 კვერცხს.

### კვება:

მოლუსკები, კიბოსნაირები და წყლის სხვა უხერხემლოები.

### კრწანისის ტყეპარკში ყოფნის სტატუსი:

გადამფრენი.

### IUCN-ის სტატუსი:

NT



## ჩვეულებრივი ოჩოფეხა

*Himantopus himantopus*

### აღწერა:

სხეულის სიგრძე: 33-36 სმ. დამახასიათებელია კონტრასტული შეფერილობა. სხეულის ზედა ნაწილი და ფრთები შავია (წელისა და კუდის გარდა), ქვედა ნაწილი – თეთრი. აქვს გრძელი, მონითალო ფეხები და შავი ნისკარტი. გამრავლების პერიოდში ორივე სქესის ფრინველს შეიძლება თავი სრულიად თეთრი ან კეფასა და თხემზე შავი ლაქები ჰქონდეს.

### ჰაბიტატი:

ჭაობები, წყალსატევები და დატბორილი მდელოები.

### ბუდობა:

ბუდობს კოლონიებად. ბუდეს იკეთებს წყლის მახლობლად ან ჭაობში, მშრალ ადგილას. მაისში დებს 4-5 კვერცხს.

### კვება:

წყლის უხერხემლოები და მათი ლარვები.

### კრწანისის ტყეპარკში ყოფნის სტატუსი:

გადამფრენი.

### IUCN-ის სტატუსი:

LC



## მცირე წინთალა

*Charadrius dubius*

### აღწერა:

სხეულის სიგრძე: 15-18 სმ, ფრთების შლილი: 32-35 სმ. დამახასიათებელია თვალის ირგვლივ ყვითელი რგოლი, შუბლზე თეთრად შემოფარგლული შავი ზოლი და ხორცისფერი ფეხები. სხეულის ზედა ნაწილი მუქი ნაცრისფერია, ქვედა – თეთრი.

### ჰაბიტატი:

მდინარეებისა და ტბების ქვიშიანი სანაპიროები.

### ბუდობა:

ბუდეს იკეთებს ქვიშაში. მაისის მეორე ნახევარში დებს 4 კვერცხს. საინკუბაციო პერიოდი 20 დღემდე გრძელდება.

### კვება:

პატარა ზომის უხერხემლოები და მათი ლარვები.

### კრწანისის ტყეპარკში ყოფნის სტატუსი:

მოხუდარი.

### IUCN-ის სტატუსი:

LC



## მებორნე

*Actitis hypoleucos*

### აღწერა:

სხეულის სიგრძე: 18-20 სმ, ფრთების შლილი: 32-35 სმ. დამახასიათებელია სხეულის ზედა ნაწილის მოყავისფრო, ქვედა ნაწილის – მოთეთრო შეფერილობა. მომქნევებზე გასდევს თეთრი ზოლი, ფეხები მომწვანო-ნაცრისფერია.

### ჰაბიტატი:

მდინარეებისა და ტბების სანაპიროები.

### ბუდობა:

ბუდეს იკეთებს მიწაზე, წყალსატევის მახლობლად. მაისის პირველ ნახევარში დებს 4-5 კვერცხს. საინკუბაციო პერიოდი 20 დღემდე გრძელდება.

### კვება:

პატარა ზომის უხერხემლოები და მათი ლარვები.

### კრწანისის ტყეპარკში ყოფნის სტატუსი:

მოხინაძრე.

### IUCN-ის სტატუსი:

LC



## ტბის თოლია (ჩვეულებრივი თოლია)

*Larus ridibundus*

### აღწერა:

სხეულის სიგრძე: 35-39 სმ, ფრთების შლილი: 86-99 სმ. გამრავლების პერიოდში დამახასიათებელია მუქი ყავისფერი თავი, თეთრი კუდი და კისერი, ნაცრისფერი ზურგი, ნაცრისფერი ფრთები შავი ბოლოებით, წითელი ნისკარტი და ფეხები. ზამთარში თავი თეთრია და მხოლოდ პატარა ყავისფერი ლაქები რჩება ყურის მფარავებსა და თვალის სიახლოვეს.

### ჰაბიტატი:

მდინარეების, ტბებისა და ზღვის სანაპიროები.

### ბუდობა:

ბუდობს კოლონიებად. ბუდეს იკეთებს მიწაზე, წყალსატევის მახლობლად. აპრილის ბოლოს დებს 2-3 კვერცხს.

### კვება:

თევზები, პატარა ზომის უხერხემლოები და გახრწნილი ნარჩენები.

### კრწანისის ტყეპარკში ყოფნის სტატუსი:

გადამფრენი / მოზამთრე.

### IUCN-ის სტატუსი:

LC



## სომხური თოლია

*Larus armenicus*

### აღწერა:

სხეულის სიგრძე: 50-56სმ, ფრთების შლილი: 115-135სმ. დამახასიათებელია სხეულის ზედა ნაწილის ნაცრისფერი, ქვედა ნაწილის – თეთრი შეფერილობა; ფრთის წვერები შავია, თეთრი კოპლებით, ფეხები და ნისკარტი ყვითელია, ნისკარტზე აქვს შავი და წითელი ლაქა. ახალგაზრდა თოლია მურაა, შავი ნისკარტითა და გარდისფერი ფეხებით.

### ჰაბიტატი:

ტბები, დიდი მდინარეები და ზღვის სანაპიროები.

### ბუდობა:

ბუდობს კოლონიებად. ბუდეს იკეთებს მიწაზე, წყალსატევის მახლობლად. აპრილის ბოლოს დებს 2-3 კვერცხს.

### კვება:

თევზები და გახრწნილი ნარჩენები.

### კრწანისის ტყეპარკში ყოფნის სტატუსი:

გადამფრენი / მოზამთრე.

### IUCN-ის სტატუსი:

LC



## ჩვეულებრივი თევზიყლაპია (მდინარის თევზიყლაპია)

*Sterna hirundo*

### აღწერა:

სხეულის სიგრძე: 34-37 სმ, ფრთების შლილი: 70-80 სმ. დამახასიათებელია გრძელი, ვიწრო ფრთები; დრმად ამოკვეთილი კუდი, წითელი ფეხები და ნისკარტი შავი წვერით. სხეულის ზედა მხარე ნაცრისფერია, ქვედა – თეთრი; კისრისა და თავის ზედა ნაწილი შავია.

### ჰაბიტატი:

ტბების, მდინარეებისა და ზღვების ქვიშიანი სანაპიროები.

### ბუდობა:

ბუდობს კოლონიებად. ბუდეს იკეთებს მიწაზე. მაისის შუა რიცხვებიდან ივნისის დასაწყისამდე დებს 2-3 კვერცხს.

### კვება:

პატარა ზომის თევზები.

### კრწანისის ტყეპარკში ყოფნის სტატუსი:

გადამფრენი / მოზამთრე.

### IUCN-ის სტატუსი:

LC





## თეთრფრთიანი თევზიყლაპია

*Chlidonias leucopterus*

### აღწერა:

სხეულის სიგრძე: 20-24სმ, ფრთების შლილი: 50-56სმ. ზაფხულში თავი, კისერი, ტანი და ფრთის ქვედა მფარავები შავია; კუდი და ფრთების ზედა მხარე მონაცრისფრო-თეთრია; ზამთარში ფრინველის ზედა მხარე ნაცრისფერია, ქვედა – თეთრი. ნისკარტი ყოველთვის შავია, ფეხები – მონითალო.

### ჰაბიტატი:

ტბები, მდინარეები და ზღვის სანაპიროები.

### ბუდობა:

ბუდობს კოლონიებად. ბუდეს იკეთებს წყლის ზედაპირზე წყლის მცენარეების ხმელი ნაწილებისგან. მაისში დებს 2-3 კვერცხს.

### კვება:

მწერები, პატარა თევზები და თავკომბალები.

### კრწანისის ტყეპარკში ყოფნის სტატუსი:

გადამფრენი / მოზამთრე.

### IUCN-ის სტატუსი:

LC



## ქედანი

*Columba palumbus*

### აღწერა:

სხეულის სიგრძე: 38-43სმ, ფრთების შლილი: 68-77სმ. დამახასიათებელია სხეულის მონაცრისფრო შეფერილობა, მოვარდისფრო მკერდი, თეთრი და მომწვანო ლაქები კისერზე. მტრედთან შედარებით ქედანი დიდი ზომისაა.

### ჰაბიტატი:

ფოთლოვანი, შერეული, ჭალის და არიდული ტყეები.

### ბუდობა:

ბუდეს იკეთებს ხეზე. მაისის შუა რიცხვებში დებს 2 კვერცხს. საინკუბაციო პერიოდი 18 დღემდე გრძელდება. ხუნდებს გამოჩეკიდან 30-35 დღის შემდეგ შეუძლიათ ფრენა.

### კვება:

კულტურული და ველური მცენარეების მარცვლეული და ნაყოფი.

### კრწანისის ტყეპარკში ყოფნის სტატუსი:

მობინადრე.

### IUCN-ის სტატუსი:

LC



## ჩვეულებრივი გვრიტი

*Streptopelia turtur*

### აღწერა:

სხეულის სიგრძე: 25-28სმ, ფრთების შლილი: 45-50სმ. დამახასიათებელია მოვარდისფრო ყელი და მკერდი; კი- სერზე პატარა, თეთრი ლაქა შავი ზოლებით; თეთრი მუცელი, ჟანგისფერი ფრთის მფარავები შავი კოპლებით; შავი მომქნევეები და კუდი (კუდზე თეთრი არშია აქვს შემოვლებული), მონითალო ფეხები. ახალგაზრდა გვრიტი ზრდასრულთან შედარებით ღია ფერისაა.

### ჰაბიტატი:

ტყისპირები, ბუჩქნარები, არიდული ტყეები, ველები, ბაღები და ტყეპარკები.

### ბუდობა:

ბუდეს იკეთებს ხეზე ან ბუჩქზე. აპრილის მეორე ნახევარში ან მაისის დასაწყისში დებს 2 კვერცხს. საინკუბაციო პერიოდი 14 დღემდე გრძელდება. ხუნდებს გამოჩეკიდან 18-20 დღის შემდეგ შეუძლიათ ფრენა.

### კვება:

კულტურული და ველური მცენარის თესლები.

### კრწანისის ტყეპარკში ყოფნის სტატუსი:

მოხუდარი.

### IUCN-ის სტატუსი:

VU



## ბუგული

*Cuculus canorus*

### აღწერა:

სხეულის სიგრძე: 32-36სმ, ფრთების შლილი: 54-60 სმ. დამახასიათებელია გრძელი კუდი და წვეტიანი ფრთები, მონაცრისფრო-რუხი შეფერილობა და შავი ხაზებით დაზოლილი მუცელი. ფრენისას ჰგავს მიმინოს, თუმცა, მისგან განსხვავებით, წვეტიანი ფრთები აქვს.

### ჰაბიტატი:

ფოთლოვანი და შერეული ტყეები.

### ბუდობა:

საკუთარ ბუდეს არ იშენებს, კვერცხს დებს სხვა ფრინველების ბუდეში. კვერცხის დასადებად ირჩევს ისეთი ფრინველის ბუდეს, რომლის კვერცხიც მისას წააგავს.

### კვება:

მწერები და მათი ლარვები.

### კრწანისის ტყეპარკში ყოფნის სტატუსი:

მობუდარი.

### IUCN-ის სტატუსი:

LC



## ყურებიანი ბუ (ოლოლი)

*Asio otus*

### აღწერა:

სხეულის სიგრძე: 31-37სმ, ფრთების შლილი: 86-98სმ. დამახასიათებელია მოყავისფრო სახის „დისკები“, რომლებსაც არტყია შავი არშია. თავზე აქვს გრძელი ბუმბულის კონები – ე.წ. „ყურები“. თვალები სტაფილოსფერი-მონითალოა. მოყვითალო-მონაცრისფრო მკერდი და მუცელი დაფარულია შავი შტრიხებით.

### ჰაბიტატი:

მეჩხერი ტყეები და ტყეპარკები.

### ბუდობა:

ბუდეს იკეთებს სხვა ფრინველის ბუდეებში ან ფულუროში. მარტში დებს 4-5 კვერცხს. საინკუბაციო პერიოდი 25-30 დღემდე გრძელდება. მართვეს გამოჩეკიდან 30-40 დღის შემდეგ შეუძლია ფრენა.

### კვება:

მცირე ზომის ძუძუმწოვრები და ფრინველები.

### კრწანისის ტყეპარკში ყოფნის სტატუსი:

მობინადრე.

### IUCN-ის სტატუსი:

LC



## ჯოთი

*Athene noctua*

### აღწერა:

სხეულის სიგრძე: 22-27 სმ, ფრთების შლილი: 50-57 სმ. დამახასიათებელია სხეულის ზედა ნაწილის მურა შეფერილობა ღია ლაქებით და ქვედა ნაწილისა – მოთეთრო, მურა ლაქებით. აქვს დიდი ყვითელი თვალები და ტანთან შედარებით გრძელი ფეხები.

### ჰაბიტატი:

ღია ადგილები, მენხერი ტყეები და ტყეპარკები.

### ბუდობა:

ბუდეს იკეთებს კლდის ან შენობის ხვრელში. მარტში დებს 4-7 კვერცხს. საინკუბაციო პერიოდი 27-28 დღემდე გრძელდება. მართვს გამოჩეკიდან 30-35 დღის შემდეგ შეუძლია ფრენა, გამრავლებას კი 1 წლიდან იწყებს.

### კვება:

მცირე ზომის ძუძუმწოვრები და ფრინველები.

### კრწანისის ტყეპარკში ყოფნის სტატუსი:

მოხინადრე.

### IUCN-ის სტატუსი:

LC



## წყრომი

*Otus scops*

### აღწერა:

სხეულის სიგრძე: 19-21 სმ, ფრთების შლილი: 47-54 სმ. დამახასიათებელია სხეულის მოყავისფრო-რუხი შეფერილობა შავი ფერის ლაქებით, ყვითელი თვალები და ე.წ. „ყურები“ (ნაგრძელებული ბუმბულის ორი კონა თავზე).

### ჰაბიტატი:

ტყეები, ტყეპარკები, ხეხილის ბაღები.

### ბუდობა:

ბუდეს იკეთებს ხის ფულუროში ან შენობის ხვრელში, ზოგჯერ სხვა ფრინველის მიტოვებულ ბუდეშიც. მაისში დებს 3-5 კვერცხს. საინკუბაციო პერიოდი 24 დღემდე გრძელდება. მართვეს გამოჩევიდან 22-29 დღის შემდეგ შეუძლია ფრენა.

### კვება:

მწერები, მცირე ზომის ძუძუმწოვრები და ფრინველები.

### კრწანისის ტყეპარკში ყოფნის სტატუსი:

მობუდარი.

### IUCN-ის სტატუსი:

LC



## ოფოფი

*Upupa epops*

### აღწერა:

სხეულის სიგრძე: 25-29 სმ, ფრთების შლილი: 44-48 სმ. დამახასიათებელია დიდი, მარაოსებური ქოჩორი და გრძელი, მოხრილი ნისკარტი; თავი, კისერი, ყელი, მკერდი და მხრები ჩალისფერია; მუცელი – თეთრი. შავ ფრთებსა და კუდზე აქვს ფართო თეთრი ზოლები.

### ჰაბიტატი:

მეჩხერი ტყეები, გაშლილი ბუჩქნარიანი ველები და ნახევარუდაბნოები.

### ბუდობა:

ბუდეს იკეთებს ფულუროში, ქვების გროვებში, კლდეების ნაპრალებსა და სოროებში. აპრილის ბოლოდან მაისის შუა რიცხვებამდე დებს 5-6 კვერცხს.

### კვება:

მწერები.

### კრწანისის ტყეპარკში ყოფნის სტატუსი:

მობუდარი.

### IUCN-ის სტატუსი:

LC





## ალკუნნი

*Alcedo atthis*

### აღწერა:

სხეულის სიგრძე: 17-19 სმ, ფრთების შლილი: 24-26 სმ. დამახასიათებელია მკვეთრი, ხასხასა შეფერილობა; მოკლე კუდი და გრძელი, მონითალო ნისკარტი; ზურგი და კუდი ცისფერი შეფერილობისაა, თავი და ფრთები მუქი მომწვანო-ლურჯია; ყელი თეთრი აქვს; სხეულის ქვედა მხარე უანგისფერ-ნითელია.

### ჰაბიტატი:

მდინარეებისა და წყალსატევების სანაპიროები.

### ბუდობა:

ბუდეს იკეთებს სანაპირო ფლათეში, სოროებში. წელიწადში მრავლდება ორჯერ: პირველად მაისის პირველ ნახევარში, მეორედ – ივნისის ბოლოს. დებს 6-7 კვერცხს. საინკუბაციო პერიოდი 18-21 დღე გრძელდება.

### კვება:

წვრილი თევზები, თავკომბალები და უხერხემლოები.

### კრწანისის ტყეპარკში ყოფნის სტატუსი:

მობინადრე.

### IUCN-ის სტატუსი:

LC



## ოქროსფერი კვირიონი (კვირიონი)

*Merops apiaster*

### აღწერა:

სხეულის სიგრძე: 25-29 სმ, ფრთების შლილი: 36-40 სმ. დამახასიათებელია სხეულის ნაირფერი შეფერილობა. ზურგი, კეფა, თხემი და ფრთის მფარავები წაბლისფერია. პირველი რიგის მომქნევეები და სხეულის ქვედა ნაწილი მოლურჯოა, ყელი ყვითელია, ნისკარტი და თვალზე გამავალი ზოლი – შავი, თვალი წითელია, კუდზე შუა ბუმბულები წაგრძელებულია. ახალგაზრდა ფრინველი შედარებით ბაცია და ზემოდან მომწვანო ფერისაა.

### ჰაბიტატი:

მდინარეების თიხიანი, კლდიანი ნაპირები, თიხიანი და ქვიშიანი მშრალი ხევები და ქარსაცავი ზოლები გაშლილ ადგილებში.

### ბუდობა:

ბუდობს კოლონიებად. ბუდეს იკეთებს ფლატეებზე თავისსავე გათხრილ სოროში. მაისში დებს 5-6 კვერცხს.

### კვება:

პატარა ზომის მწერები.

### კრწანისის ტყეპარკში ყოფნის სტატუსი:

გადამფრენი.

### IUCN-ის სტატუსი:

LC



## მწვანე კოდალა

*Picus viridis*

### აღწერა:

სხეულის სიგრძე: 30-36 სმ, ფრთების შლილი: 45-51 სმ. დამახასიათებელია მომწვანო შეფერილობა. სხეულის ზედა ნაწილი მოყვითალო-მომწვანოა, ქვედა – მომწვანო-თეთრი. თავის ზედა ნაწილი წითელია. თვალის ირგვლივ აქვს შავი შეფერილობა. მამალს თვალის შავად შეფერილი ნაწილის ქვემოთ აქვს წითელი ლაქა (დედალს – შავი). ახალგაზრდა ფრინველს თვალის გარშემო შავი ლაქა არა აქვს, თავი და მუცელი კი ხშირი, მუქი ხაზებითაა დაზოლილი.

### ჰაბიტატი:

ფართოფოთლოვანი, ზოგჯერ შერეული ტყეები და პარკები.

### ბუდობა:

ბუდეს იკეთებს ხის ფულუროში. მაისის პირველ ნახევარში დებს 3-7 კვერცხს. საინკუბაციო პერიოდი 15-17 დღე გრძელდება.

### კვება:

ქსილოფაგი მწერები, ჭიანჭველები და მათი კვერცხები.

### კრწანისის ტყეპარკში ყოფნის სტატუსი:

მოზინადრე.

### IUCN-ის სტატუსი:

LC



## დიდი ჭრელი კოდალა

*Dendrocopos major*

### აღწერა:

